საქართველოში დევნილთა მასპინძელი თემებისათვის სასმელად ვარგის წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველოყოფა

ქეა საერთაშორისომ კავკასიაში ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ქართლის რეგიონის კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილების მასპინძელ სოფლებს შესაძლებლობა მისცეს მიიღონ ადეკვატური კომუნალური სერვისი.

ქეა საერთაშორისო კავკასიაში სასმელ წყალს შიდა ქართლის იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ დასახლებებში მცხოვრები 4 000 ზე მეტი ადამიანისთვის გახდის ხელმისაწვდომს. პროექტი სასმელი წყლის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით იმ სამ სოფელს უზრუნველყოფს, სადაც კომუნალური ინფრასტრუქტურა იქ ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ წყლის გაზრდილი გამოყენების გამო გადაიტვირთა. სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმ დაძბულობების შემსუბუქებაში, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის არსებობს. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისათვის ქეას მუშაობის წინსვლასა და განვითარებას. პროექტი გათვლილია შიდა ქართლის რეგიონზე, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა 2008 წლის აგვისტოს ომისას. ქეამ უფრო მეტი ფოკუსირება შიდა ქართლში ჰუმანიტარულ საქმიანობაზე მოახდინა და ამ ჰუმანიტარულ მიზნებს რეგიონში გორის ოფისის მეშვეობით ახორციელებდა. აღნიშნული პროექტით ქეა კვლავაც გააგრძელებს რეგიონში მდებარე დასახლებებზე და მასტ მასპინძელ თემებზე კონცენტრირებას და დაეხმარება მათ საცხოვრებელისა და წყლის საჭიროებების უზრუნველსაყოფად მდგრადი გამოსავალის მოძებნაში. პროექტი დაფინანსებულია ჰოვარდ ბაფეტის ფონდის მიერ და მისი მთლიანი ბიუჯეტი 248.521 დოლარს შეადგენს. EAPW–ს განხორციელება ექვსი თვის მანძილზე მოხდება (2009 წლის ოქტომბრიდან – 2010 წლის მარტამდე).

THE HOWARD G.
BUFFETT
FOUNDATION